ШЕМОСАВЛЕБІС
САМСАХУРІ

თბილისი 0114, გულუას ქ. 4
ტელ: +995 (32) 226 17 58, +995 (32) 226 26 81
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge
აუდიტის დეპარტამენტი

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]

გთხოვთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 70-ე მუხლის საფუძველზე, 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოთ ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი შემდეგი სახის ინფორმაცია/დოკუმენტაცია, კერძოდ:

1. ფულადი სახსრების ინვენტარიზაციის შედეგები მათი ადგილმდებარეობისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით;

2. ბასს-ის ანგარიშთა გეგმის მიხედვით საბუღალტრო ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ 2021 წლის 01 ივნისის, 2021 წლის 01 ივლისის და ხსენებული ფულადი სახსრების ინვენტარიზაციის ჩატარების მდგომარეობით, მათ შორის მოკლევადიანი მოთხოვნების, დარიცხული მოთხოვნების და ვალდებულებების (გარდა საგადასახადო ვალდებულებებისა) ნაწილში ინფორმაცია იდენტიფიცირებული უნდა იყოს, საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული თითოეული პირის მიხედვით;

3. 2021 წლის 01 ივნისიდან ხსენებული ინვენტარიზაციის ჩატარების მომენტამდე სალაროში (ანგარიშთა გეგმის 1100-იანების ანგარიში (მათ შორის 1110, 1120 და ა.შ)) და საბანკო ანგარიშებზე (ანგარიშთა გეგმის 1200-იანების ანგარიში (მათ შორის 1210, 1220 დ ა.შ)) თანხების მოძრაობის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია, ცალკეული სამეურნეო ოპერაციების მიხედვით.

გთხოვთ გაითვალისწინეთ:

- თუ მითითებულ ვადაში ობიექტური გარემოებების გამო (დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, საგადასახადო ორგანოს/სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით) ვერ ახერხებთ მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენას, ვადის გადავადების შესათანხმებლად დაუკავშირდით საკონტაქტო პირს და შემდგომ, წერილობითი ფორმით (მათ შორის ელ. ფოსტით) წარმოადგინოთ მოცემული ვადის გადავადების თაობაზე დასაბუთებული განმარტება.
- მითითებულ ვადაში მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, გათვალისწინებულია ჯარიმა სსკ-ის 279-ე მუხლის მიხედვით, კერძოდ, პირველ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა შეადგენს 400 ლარს, ხოლო ყოველ განმეორებით შემთხვევაზე 1 000 ლარს.

[redacted]